ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა

განკარგულება № 24.06.507

„22" ივნისი 2016 წ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის ქვეპროგრამით - „სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები" (კოდი 01 02 01) გათვალისწინებული ღონისძიების - „საგზაო მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხოების მიზნით საზოგადოების ცნობიერების ამაღლება" განხორციელების წესის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის დასამტკიცებლად წარდგენის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის, 75-ე მუხლის „ბ.ა" და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 დეკემბრის №32-127 დადგენილების მე-13 და მე-14 მუხლების საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნეს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის ქვეპროგამით - „სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები" (კოდი 01 02 01) გათვალისწინებული ღონისძიების - „საგზაო მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხოების მიზნით საზოგადოების ცნობიერების ამაღლება" - განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტი, დანართის შესაბამისად.

2. ეთხოვოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს: ამ განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის დასამტკიცებლად წარდგენა.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს სფეროს კურატორ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი დავით ნარმანია

<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №------

2016 წლის --- ---------

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის ქვეპროგრამით „სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები“ (კოდი 01 02 01) გათვალისწინებული ღონისძიების - „საგზაო მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხოების მიზნით საზოგადოების ცნობიერების ამაღლება“ განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის ქვეპროგრამით „სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები“ (კოდი 01 02 01) გათვალისწინებული ღონისძიების - „საგზაო მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხოების მიზნით საზოგადოების ცნობიერების ამაღლება“ განხორციელების წესი“ დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის ქვეპროგრამით „სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები“ (კოდი 01 02 01) გათვალისწინებული ღონისძიების - „საგზაო მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხოების მიზნით საზოგადოების ცნობიერების ამაღლება“ განხორციელების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს წესი განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის ქვეპროგრამით „სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები“ (კოდი 01 02 01) გათვალისწინებული ღონისძიების - „საგზაო მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხოების მიზნით საზოგადოების ცნობიერების ამაღლება“ განხორციელების პირობებს და პროცედურებს.

2. ეს წესი არ ვრცელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის ქვეპროგრამით „სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები“ (კოდი 01 02 01) გათვალისწინებული ასიგნების ფარგლებში, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის ორგანიზებით განსახორციელებელი სხვა ღონისძიებების დაფინანსებაზე.

3. ამ წესის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის ქვეპროგრამით „სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები“ (კოდი 01 02 01) გათვალისწინებული ღონისძიების - „საგზაო მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხოების მიზნით საზოგადოების ცნობიერების ამაღლება“ დაფინანსების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა ქმნის პროექტის განმხილველ კომისიას (შემდგომში -კომისია). კომისიის საქმიანობის წესი განისაზღვრება კომისიის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა.

მუხლი 2. დაფინანსების მიმღები სუბიექტები

ამ წესით განსაზღვრული დაფინანსების მიმღები სუბიექტები არიან საჯარო სამართლის იურიდიული პირები ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები, რომელთა მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურისთვის წარდგენილი პროექტი ორიენტირებული იქნება საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებაზე, მოქალაქეების ცნობიერების ამაღლებასა და ცოდნის გაღრმავებაზე.

მუხლი 3. საპროექტო განაცხადის წარდგენა

1. დაფინანსების მისაღებად დაინტერესებული პირი წერილობითი განცხადებით მიმართავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურს (შემდგომში-სამსახური). განცხადებას თან უნდა ერთვოდეს სრულყოფილად შევსებული საპროექტო განაცხადი. საპროექტო განაცხადთან ერთად სამსახურს წარედგინება მის მიერ განსაზღვრული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

2. საპროექტო განაცხადის ფორმას და წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას განსაზღვრავს სამსახური.

3. სამსახური ამოწმებს საპროექტო განაცხადის დადგენილ ფორმასთან და ამ წესით განსაზღვრულ კრიტერიუმებთან შესაბამისობას. თუ დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი საპროექტო

განაცხადი არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს, სამსახური დაინტერესებულ სუბიექტს ხარვეზის გამოსასწორებლად განუსაზღვრავს არანაკლებ 5 დღიან ვადას.

4. სამსახურის მიერ განსაზღვრულ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში საპროექტო განაცხადი არ განიხილება და განმცხადებელს წერილობით ეცნობება დასაბუთებული უარის შესახებ.

მუხლი 4. საპროექტო განაცხადის განხილვა და დაფინანსება

1. თუ წარმოდგენილი საპროექტო განაცხადი აკმაყოფილებს ამ წესითა და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, სამსახური საპროექტო განაცხადს განსახილველად წარუდგენს კომისიას.

2. დაფინანსება ხორციელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის ქვეპროგრამისათვის „სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები" (კოდი 01 02 01) გამოყოფილი ასიგნების ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ასიგნების ფარგლებში, დაფინანსებას ექვემდებარება საპროექტო განაცხადი შემდეგ თემებზე:

ა) საგზაო უსაფრთხოება (საგზაო მონაწილეთა უსაფრთხოება და დაცვა)

ა.ა) ქვეითები

ა.ა.ა) სასკოლო განათლება - ქვეითად მოსიარულეთა უნარ-ჩვევები და საგზაო მოძრაობის წესების სწავლება (კვლევა/ტრენინგები/პოპულარიზაცია);
ა.ა.ბ) ქვეითთა უსაფრთხოება - საგზაო მოძრაობის წესების დაცვა, მიწისქვეშა და მიწის ზედა გადასასვლელებით სარგებლობა, უპირატესობები (კვლევა/პოპულარიზაცია);
ა.ა.გ) სატრანსპორტო საშუალების მძღოლთა ვალდებულებები საგზაო მოძრაობის სხვა მონაწილეთა მიმართ - ქვეითთა უპირატესობები გადასასვლელებზე და მათი უსაფრთხოება (კვლევა/პოპულარიზაცია);

ა.ბ) ბავშვები

ა.ბ.ა) ბავშვების უსაფრთხოება/შეზღუდვები: ბავშვების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით გადაყვანის შეზღუდვები, წესების განსაზღვრა (კვლევა/პოპულარიზაცია);
ა.ბ.ბ) ბავშვების ქვეითთა გადასასვლელებზე ორგანიზებულად გადაყვანა, წესების განსაზღვრა (კვლევა/პოპულარიზაცია);

ა.გ) საგზაო მოძრაობის მონაწილეები (მძღოლი მგზავრი)

ა.გ.ა) სიჩქარის შეზღუდვა: მაქსიმალური სიჩქარის შეზღუდვა ქალაქის ტიპის დასახლებებში 50კმ/სთ-დე. (კვლევა/პოპულარიზაცია)
ა.გ.ბ) ალკოჰოლური ან ნარკოტიკული თრობის მდგომარეობაში ავტომობილის მართვა: თრობის საშუალებათა უარყოფითი შედეგები (კვლევა/პოპულარიზაცია)
ა.გ.გ) ჩაფხუტის ხმარება: ჩაფხუტის ტიპების (სტანდარტების) განსაზღვრა, მათი ხმარების წახალისება და ადმინისტრაციული ზომების გამკაცრება (კვლევა/პოპულარიზაცია);
ა.გ.დ) უსაფრთხოების ღვედი: უსაფრთხოების ღვედის გამოყენების წახალისება (კვლევა/პოპულარიზაცია);
ა.გ.ე) საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების და დაშავებულთა მონაცემების ვიზუალიზაცია - საინფორმაციო ბანერის მოწყობა.

ბ) საზოგადოებრივი ტრანსპორტი

ბ.ა) საზოგადოებრივი ტრანსპორტის როლი და უპირატესობები - საზოგადობის დამოკიდებულება საზოგადოებრივი ტრანსპორტის მიმართ, საცობთან ბრძოლა, CO-ს შემცირება, კერძო ტრანსპორტის მფლობელთა დამოკიდებულება საზოგადოებრივი ტრანსპორტის მიმართ (კვლევა/პოპულარიზაცია);
ბ.ბ) ტრანსპორტის მოძრაობის უარყოფითი შედეგის ვიზუალიზაცია - გამონაბოლქვის დეტექტორის დაყენება, მონაცემების ვიზუალიზაცია.

გ) ეკოტრანსპორტი

გ.ა) ველოსიპედი - ჯანმრთელობა, მობილურობა, უპირატესობა მომხმარებელთა რაოდენობა (კვლევა/პოპულარიზაცია);

დ) ტურისტული ზონა

დ.ა) ტურისტული ზონის გეოგრაფიული მდებარეობის განსაზღვრა (საზოგადოების დამოკიდებულების კვლევა/ანალიზი)

დ.ბ) კერძო ტრანსპორტი და ქვეითები ტურისტულ ზონებში (საზოგადოების დამოკიდებულების კვლევა/ანალიზი)

დ.გ) პარკირების პრობლემები ტურისტულ ზონებში (საზოგადოების დამოკიდებულების კვლევა/ანალიზი)

დ.დ) ტრანსპორტი და ეკოლოგიური გარემო ტურისტულ ზონებში (საზოგადოების დამოკიდებულების კვლევა/ანალიზი)

დ.ე) საზოგადოებრივი ტრანსპორტი, როგორც ალტერნატივა ტურისტულ ზონებში (საზოგადოების დამოკიდებულების კვლევა/ანალიზი)

დ.ვ) გზების საფეხმავლო ზონებად გამოყენების შესაძლებლობის კვლევა ტურისტულ ზონებში (ადგილობრივი მაცხოვრებლებისა და საზოგადოების დამოკიდებულება)

4. თუ მოთხოვნილი თანხა არ აღემატება 5 000 (ხუთი ათას) ლარს, კომისია დაფინანსების მოთხოვნის თაობაზე საპროექტო განაცხადს განიხილავს და დადებითი შეფასების შემთხვევაში, პროექტის დაფინანსების (თანხის ოდენობის მითითებით) შესახებ რეკომენდაციით მიმართავს სამსახურის უფროსს.
5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, პროექტის დაფინანსების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს სამსახურის უფროსი.
6. თუ წარდგენილი საპროექტო განაცხადით მოთხოვნილი თანხა აღემატება 5 000 (ხუთი ათას) ლარს, დადებითი შეფასების შემთხვევაში, კომისია პროექტის დაფინანსების (თანხის ოდენობის მითითებით) შესახებ, რეკომენდაციით მიმართავს სამსახურის უფროსს, რომელიც პროექტს განსახილველად წარუდგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას.
7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საპროექტო განაცხადის დაფინანსების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა.
8. შენიშვნების არსებობის შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია განმცხადებელს მოსთხოვოს საპროექტო განაცხადის შესწორებული ვარიანტის წარდგენა, რისთვისაც განუსაზღვრავს არაუმეტეს 10 დღიან ვადას.

მუხლი 5. დაფინანსების გაცემა

პროექტის დაფინანსების შემთხვევაში, საპროექტო განაცხადის წარმდგენისათვის შესაბამისი თანხის გადარიცხვას უზრუნველყოფს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის ქვეპროგრამით „სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები“ (კოდი 01 02 01) გათვალისწინებული ასიგნებებიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის მოთხოვნის საფუძველზე.

მუხლი 6. კონტროლის განხორციელება

ამ წესის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების კონტროლს ახორციელებს სამსახური.

განმარტებითი ბარათი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის ქვეპროგრამით „სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები“ (კოდი 01 02 01) გათვალისწინებული ღონისძიების - „საგზაო მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხოების მიზნით საზოგადოების ცნობიერების ამაღლება“ განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დადგენილების პროექტის თაობაზე

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში- პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 დეკემბრის №32-127 დადგენილების ქვეპროგრამით დამტკიცებულია „სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები“ (კოდი: 01 02 01), რომლის მე-13 მუხლის მიხედვით გათვალისწინებულია ღონისძიების -„საგზაო მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხოების მიზნით საზოგადოების ცნობიერების ამაღლება“ განხორციელება.

პროექტის მიღების მიზანია საგზაო მონაწილეთა (ქვეითები, ბავშვები, მძღოლი მგზავრი) მოძრაობის უსაფრთხოების დაცვა, საზოგადოებრივი ტრანსპორტის პოპულარიზაცია, ეკოტრანსპორტის მობილურობა, ტურისტული ზონის განვითარება. აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით მოქალაქეების ცნობიერების ამაღლება და ცოდნის გაღრმავება.

ბ) პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო -ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება:

პროექტის განხორციელებისათვის საჭირო საბიუჯეტო სახსრები გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 დეკემბრის №32-127 დადგენილებით დამტკიცებული „სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები“(კოდი 01 02 01) ქვეპროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნების ფარგლებში, კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით.

გ) პროექტის ავტორი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური.

დ) პროექტის წარმდგენი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.